# ფუტკრება ლონდონის ცენტრში ქაოსი გამოიწვიეს (ვიდეო)



**ლონდონის ცენტრში უეცრად გამოჩენილმა ფუტკრების გიგანტურმა ნაყარმა ქუჩაში ქაოსი შექმნა.**

გრინვიჩ–სტრიტზე შეჩერდა სატრანსპორტო მოძრაობა, ხოლო გამვლელები პანიკაში გარბოდნენ. ფუტკრის ნაყარი შუქნიშნებს დასტრიალებდა, მწერები ადამიანებს, მათ თმასა და ტანსაცმელში ეხვეოდნენ. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ქუჩაში აუტანელი ზუზუნი იდგა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ზოგიერთმა გამვლელმა იქ გაჩერება და ინციდენტის ვიდეოზე ასახვაც გაბედა.

ვითარება მხოლოდ საღამოსთვის მოწესრიგდა, მას შემდეგ, რაც ერთერთმა ადგილობრივმა მეფუტკრემ სკები მოიტანა და ფუტკრების უმეტესბა მათში მოთავსდა. მეცნიერების ვარაუდით, ველური ფუტკრები გრინვიჩ–პარკიდან მოფრინდნენ.

https://www.youtube.com/watch?v=G3JPQ4B7PuQ